

შპს ბიზნესცენტრი საბურთალო
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2018

		31/12/2018	31/12/2017
	შენიშვნა	000 ლარი	000 ლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები		175	207
სავაჭრო მოთხოვნები	6	1,070	1,187
გადახდილი ავანსები		78	17
მარაგები		27	26
სხვა მიმდინარე აქტივები	4	2,438	1,910
ძირითადი საშუალებები	3	4,757	4,533
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	1,888	1,975
სულ აქტივები		<u>10,433</u>	<u>9,855</u>
სავაჭრო ვალდებულებები		146	159
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		649	1,072
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		72	728
სულ ვალდებულებები		<u>867</u>	<u>1,959</u>
საწესდებო კაპიტალი		5,309	5,309
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		4,257	2,587
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		<u>9,566</u>	<u>7,896</u>
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>9,566</u>	<u>7,896</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>10,433</u>	<u>9,855</u>

შპს ბიზნესცენტრი საბურთალო
კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები
31 დეკემბერი, 2018

შემოსავალი :	000 ლარი
* საქონლის გაყიდვიდან	829
* მომსახურების გაწევიდან	2,352
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,237)
საერთო მოგება	<u>1,944</u>
 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(593)
საპროცენტო შემოსავალი	421
საპროცენტო ხარჯი	(115)
სხვა შემოსავალი	13
სულ საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	<u>(274)</u>
 მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1,670
მოგების გადასახადი	-
მოგება/(ზარალი)	<u>1,670</u>
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1,670
განკუთვნილი მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	1,670
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	-

შპს ბიზნესცენტრი საბურთალო
კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

1 იანვარი 2018	000 ლარი
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	<u>7,896</u>
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1,670
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	<u>9,566</u>
31 დეკემბერი 2018	

შპს ბიზნესცენტრი საბურთალო
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის
ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2018

	000 ლარი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,270
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(228)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,074)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(32)
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	207
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	175

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ჯგუფი „ბიზნესცენტრი საბურთალო“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა. იგი რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #18.

ჯგუფი შედგება მშობელი კომპანიისაგან და სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოსგან - შპს „Tbilisi foods and beverages company“(ს/კ 404 424 324). მშობელი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომერციული/საოფისე ფართების გაქირავება, ხოლო შვილობილი საწარმოსი - სარესტორნო მომსახურება.

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ათას ლარში).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

2. შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება :

- საიჯარო მომსახურების დროს ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის ბოლო დღისა (გამომდინარე მისი რეგულარული უწყვეტი ხასიათიდან);
- სარესტორნო მომსახურებისას კი მომსახურების გაწევის მომენტში.

ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (ერთეული ლარი)	
1 იანვარი, 2018	5,713,574.00
31 დეკემბერი, 2018	6,098,653.00
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2018	(1,180,699.00)
31 დეკემბერი, 2018	(1,341,415.00)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2018	4,532,875.00
31 დეკემბერი, 2018	4,757,238.00

ძირითადი საშუალებების ზრდა 2018 წელს ძირითადად გამოწვეულია მანქანა-დანადგარების შესყიდვით. არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივებში წარმოდგენილია სხვა კომპანიებზე გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი.

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები :

სხვა გრძელვადიან აქტივებში წარმოდგენილია სხვა კომპანიებზე გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი.

6. სავაჭრო მოთხოვნები:

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მშობელი კომპანიის მიერ იჯარით გაცემული ფართებიდან მისაღებ თანხებს .

7. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიასა და მის შვილობილ საწარმოს შორის შესრულებული ოპერაციები , ელიმინირებულია კონსოლიდაციის დროს:

2012 წელს შვილობილ კომპანიაზე შპს „Tbilisi foods and beverages company“-ზე გაცემულია სესხის თანხა.

გაცემული სესხის საკონტრაქტო ღირებულება შეადგენს 99 200 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

2018 წლის ბოლოს დასაფარი ნაშთი შეადგენს 91 945,28 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში (246 101 ლარი).


2018 წლის განმავლობაში განხორციელდა სესხის დაფარვა 23 118 აშშ დოლარის ოდენობით (71044,59 ლარი)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია აღნიშნული ოპერაცია .

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:


საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

06.09.2019


ხელმოწერა

ალექსანდრე ნარსია
აღმასრულებელი დირექტორი




ხელმოწერა

მეგი სულხანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

06.09.2019

ხელმოწერა

დირექტორი

ხელმოწერა

მთავარი ბუღალტერი